ძნელი გამარჯვება

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 6 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 3:1 (1:1).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ქორიძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე), გუცაევი (რეხვიაშვილი), ყიფვიანი, წერეთელი.

“შახტიორი”: დეგტიარიოვი, დუდინსკი, ზვიაგინცევი, გორბუნოვი, პიანიხი, გოლოვინი, ვანკევიჩი, სოკოლოვსკი, საფონოვი, ვასინი, სტარუხინი.

მსაჯი: ა. ბალოიანი (ბაქო).

დუბლიორები – 0:1.

დონეცკელებთან იოლი გამარჯვების მოპოვებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. “შახტიორი” ძალიან ძნელად დასაძლევი გუნდია საერთოდ, ახლა კი, ჩემპიონატის ერთ–ერთი ლიდერის როლში, იგი განსაკუთრებული, გაორკეცებული ძალით იბრძვის იმ დიდ წარმატებათა შესანარჩუნებლად, რომლებიც მოპოვებული აქვს გათამაშების განვლილ ეტაპზე.

წინათ “შახტიორი” მაღალი საბრძოლო თვისებებით, მოთამაშეთა ათლეტური მომზადებით გამოირჩეოდა, მაგრამ მის ახლანდელ შემადგენლობაში არიან არა უბრალოდ თავგამოდებული, შრომისუნარიანი მოთამაშეები, არამედ ნამდვილი მაღალი კლასის ოსტატებიც. მათს რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მეკარე დეგტიარიოვი, მცველი ზვიაგინცევი, ნახევარმცველები სოკოლოვსკი, ვანკევიჩი, თავდამსხმელები ვასინი და სტარუხინი, რომლებმაც აქაც, თბილისის სტადიონზე, გამოავლინეს თავიანთი მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე ვასინმა, უდავოდ, ძალიან ძლიერმა ფეხბურთელმა.

როცა ცენტრალურ პრესაში ვათვალიერებდით “შახტიორის” მატჩების სარეცენზიო ანგარიშებს, რამდენიმეჯერ წავაწყდით შენიშნვას, რომ ეს გუნდი თამაშობს ძალისმიერად, მკაცრად, ჯარიმის ზღვარზე. ესე იგი ისე, რომ ცოტაც და ყოველი სათამაშო ეპიზოდი უხეშობით უნდა დამთავრდეს. ახლა ასეთ ფორმულირებას ვერ გამოვიყენებთ. სტუმრები, მართალია, ძალისმიერადაც მოქმედებდნენ და მკაცრადაც, მაგრამ არავითარი ზღვარი არ დაურღვევიათ და უხეშობასაც მათ ვერ დავწამებთ, ხოლო თბილისელებს 2 ქულის აღება ძალიან გაუჭირდათ მხოლოდ იმიტომ, რომ დონეცკელები თამაშობდნენ მაქსიმალური ენერგიით, უბრალოდ არ თმობდნენ ბურთს არსად, თუნდაც ეს მათი კარიდან დიდი დაშორებით ყოფილიყო. ასეთ სიტუაციაში გაკვირვება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ, როცა “შახტიორის” კარში მეორე გოლი გავიდა, ხოლო მატჩის დამთავრებას კიდევ საკმაო დრო აკლდა (დაახლოებით 10 წუთი), თბილისელები თავიანთს ნახევარზე შეუდგნენ ბურთის აშკარად შენელებულ გათამაშებას დროის გაყვანის მიზნით. სტუმრები მათ არ ესხმოდნენ თავს და თითქმის არ უშლიდნენ ხელს ამოცანის განხორციელებაში. ამგვარი რამ “შახტიორისთვის” არაა დამახასიათებელი. მატჩის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. სალკოვმა ეს ახსნა იმ მეტისმეტი გადატვირთვით, რაც ბოლო პერიოდში კოლექტივს ჰქონდა: სამი ძნელი მატჩი რვა დღის მანძილზე.

მაგრამ არც თბილისის “დინამოს” ჰქონია ამ ბოლო ხანებში საკურორტო განრიგი. რად ღირს, თუნდაც ბოლო მატჩები “დნეპრთან” და კიევის “დინამოსთან”.

ალბათ ამიტომ ჩანდნენ ასე დაქანცული გუცაევი, ძოძუაშვილი, წერეთელი. ერთობ პასიური იყო კოპალეიშვილიც. თუმცა მას გაცილებით მეტი უნდა აეღო თავის თავზე.

თამაში დაიწყო ნელა, დაბალი ტემპით, საკმაო ხნის მანძილზე უმთავრესი მოვლენები შუა მინდორში ვითარდებოდა და მხოლოდ დროდადრო, გამონაკლისის სახით თუ გამწვავდებოდა მდგომარეობა რომელიმე კართან. სწორედ ამ სიწყნარით ისარგებლეს სტუმრებმა 34–ე წუთზე, როცა ვასინმა შორიდან მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა, გოგია კარიდან ოდნავ წინ დარჩა გამოსული, ბურთი მოხვდა ზედა ძელს, მერე – მიწას და კვლავ ზევით აიჭრა, ბადეში.

გოლს ტემპის სწრაფი მომატება მოჰყვა. 37–ე წუთზე კოპალეიშვილმა მარცხენა ფლანგიდან მიაწოდა ბურთი, კარის წინ ყველას დაასწრო მ. მაჩაიძემ და ანგარიში გათანაბრდა.

შესვენების შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა., დინამოელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება, მეტი ძალა ჩართეს იერიშში და რამდენიმეჯერ აიძულეს დეგტიარიოვი აეღო ძნელი ბურთები. ამ იერიშებში განსაკუთრებით სახიფათო და ძლიერი იყო ყიფიანი, უდავოდ, მატჩის საუკეთესო მოთამაშე. მან ეფექტური კონტაქტები მოძებნა ასათიანთან, შეტევაზე გადავიდა და დონეცკელთა მეკარეს მისგან მოსვენება არ ჰქონდა. რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ ყიფიანმა მაინც მიაღწია საწადელს და შესანიშნავი დარტყმით გაიტანა მეორე გოლი, ხოლო უკვე მაშინ, როცა შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, ქორიძემ ზუსტად ასეთივე, ტყუპისცალივით მსგავსი დარტყმა განახორციელა იმავე ადგილიდან, იმავე კუთხეში და თავისი გუნდის გამარჯვებაც დააგვირგვინა.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 8 ივლისი, 1975 წ.